შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

(კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება)

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის

2024 წლის 09 სექტემბრის №240909 ბრძანებით

გაცდენილი სასწავლო/პრაქტიკული საათების აღდგენისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წ ე ს ი

(შიდა რეგულაცია)

2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები და მიზანი

1. წინამდებარე „გაცდენილი სასწავლო/პრაქტიკული საათების აღდგენისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი" (შემდგომში — წესი) არეგულირებს „შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი"-ში (შემდგომში — კოლეჯი) პროფესიული სტუდენტის მიერ გაცდენილი სასწავლო/პრაქტიკული საათების აღდგენის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენისა და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სასწავლო კომპონენტის ფინანსური ანაზღაურების საფუძველზე ჩატარების პირობებსა და პროცედურას.
2. წესის მიზანია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის უფლება, აღიდგინოს გაცდენილი სასწავლო/პრაქტიკული საათები და მიაღწიოს მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, კოლეჯის რესურსების მართლზომიერი და გამჭვირვალე გამოყენების პირობებში.
3. წესი ვრცელდება კოლეჯის ყველა პროფესიულ სტუდენტზე, განურჩევლად დაფინანსების წყაროსი (სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება ან თვითდაფინანსება), ამ წესით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.
4. წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) და წარმოადგენს კოლეჯის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძველი

წესი შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ" — პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, ვაუჩერის ცნება და დანიშნულება (პროგრამის ათვისების დაფინანსება);
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილება, დანართი №1, მუხლი 6 — ვაუჩერი გაიცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისთვის, მათ შორის მასწავლებლის შრომის ანაზღაურებისთვის;
- №244 დადგენილება, დანართი №1, მუხლი 12, პუნქტი 6 — დაუშვებელია სტუდენტისგან ვაუჩერული დაფინანსების თანხის ან/და მისგან გამომდინარე სხვა გადასახდელის (პროცენტი, ჯარიმა და ა.შ.) მოთხოვნა;
- №244 დადგენილებაში 2026 წლის ცვლილებები — დაფინანსების ერთეულად განისაზღვრება პროგრამის შემადგენელი მოდული;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ";
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები (EQE) — სასწავლო პროცესისა და საფასურის პოლიტიკის გამჭვირვალობა;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 319 — ხელშეკრულების თავისუფლება;
- კოლეჯის წესდება, შინაგანაწესი, შეფასების წესი და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ტერმინი	განმარტება
გაცდენა	სტუდენტის მიერ მოდულის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სალექციო ან პრაქტიკულ საათზე გამოუცხადებლობა.
საპატიო გაცდენა	დოკუმენტურად დადასტურებული გაცდენა (ჯანმრთელობა, ფორს-მაჟორი, კანონით დადგენილი სხვა მიზეზი), აღიარებული კოლეჯის უფლებამოსილი პირის მიერ.
არასაპატიო გაცდენა	გაცდენა, რომელიც არ არის დადასტურებული საპატიო მიზეზით.
აღდგენა	გაცდენილი სასწავლო/პრაქტიკული საათ(ებ)ის ხელახალი/დამატებითი ჩატარება ან/და სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის უზრუნველყოფა.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ)	კონკრეტული სტუდენტისთვის შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აღსადგენ საათებს, კომპონენტებს, მოცულობას, ვადებსა და, საჭიროებისას, საფასურს.
დამატებითი სასწავლო კომპონენტი	ცალკე, ამ სტუდენტისთვის დანიშნული დამატებითი სალექციო ან/და პრაქტიკული საათ(ებ)ი, ჩატარებული მოდულის ძირითადი პერიოდის დასრულების შემდეგ, სტუდენტის მოთხოვნით.
დამატებითი საათის საფასური	წინასწარ დადგენილი, ფიქსირებული ტარიფი ერთ დამატებით საათზე, რომელიც ასახავს მომსახურების ფაქტობრივ ხარჯს და არ წარმოადგენს ჯარიმას/სანქციას.

მუხლი 4. ძირითადი პრინციპები

1. შეფასების (გამოცდის) აღდგენა (გადაბარება) უსასყიდლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტი დაესწრო შესაბამის სასწავლო/შეფასების კომპონენტს, მაგრამ ვერ მიაღწია სწავლის შედეგს — ასეთი გადაბარება სასწავლო პროცესის ნაწილია და უტარდება როგორც სახელმწიფო დაფინანსებულ, ისე თვითდაფინანსებულ სტუდენტს.
2. თუ სტუდენტმა შეფასება ან/და მისი წინაპირობა (სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტი) გააცდინა არასაპატიო მიზეზით, მისი აღდგენა — მათ შორის გამოცდაზე დაშვებისთვის საჭირო გაცდენილი საათების აღდგენა — ხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი საფასურის საფუძველზე. გაცდენის საპატიოობა დასტურდება მხოლოდ დოკუმენტურად; დაუსაბუთებელი ან დაუდასტურებელი მიზეზი ითვლება არასაპატიოდ.
3. ამ წესით დადგენილი საფასური უკავშირდება მხოლოდ უკვე ჩატარებული (და დაფინანსებული) საათების სტუდენტის ბრალით გაცდენისას მათ ხელახალ/დამატებით ჩატარებას, რაც წარმოშობს კოლეჯისთვის ახალ, ფაქტობრივ ხარჯს (მასწავლებლის შრომა, პრაქტიკის ბაზა/აღჭურვილობა/ხარჯვადი მასალა, ადმინისტრირება) და რომელსაც უკვე ათვისებული ვაუჩერული დაფინანსება აღარ ფარავს.
4. საფასური არის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულება და არ წარმოადგენს ჯარიმას, საურავს ან/და ვაუჩერული დაფინანსების თანხის მოთხოვნას (შესაბამისობა №244 დადგენილების დანართი №1-ის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტთან).

5. საათების აღდგენა და დამატებითი კომპონენტის ჩატარება ხორციელდება სტუდენტის წერილობითი მომართვის (განცხადების) საფუძველზე.

მუხლი 5. აღდგენის ფინანსური პირობები

ფინანსური პირობები განისაზღვრება გაცდენის მიზეზის მიხედვით:

გაცდენის ტიპი	ფინანსური პირობა
საპატიო გაცდენა (დოკუმენტურად დადასტურებული – არ უნდა აჭარბებდეს დაშვებულ 3%-ს)	აღდგენა ხორციელდება უსასყიდლოდ. სტუდენტს არ ეკისრება საფასური.
არასაპატიო გაცდენა – 30%-მდე	აღდგენა/დამატებითი კომპონენტი ტარდება უსასყიდლოდ კონსულტაციის ან ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.
არასაპატიო გაცდენა – 30%-ზე მეტი.	აღდგენა/დამატებითი კომპონენტი ტარდება ფიქსირებული ტარიფით, ფაქტობრივად აღსადგენი საათების მოცულობის პროპორციულად რამდენითაც არის გადაჭარბებული 30%-ზე მეტი.

1. დამატებითი ინდივიდუალური გეგმის მიხედვვით სასწავლო/პრაქტიკული საათის ფიქსირებული ტარიფი შეადგენს 30 ლარს ერთ აკადემიურ საათზე. ტარიფი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და გადაიხედება არაუგვიანეს სასწავლო კომპონენტის ჩანიშვნამდე.
2. გადასახდელი თანხა = 30%-ზე ზემოთ აღსადგენ არასაპატიო საათთა რაოდენობა × ფიქსირებული ტარიფი.
3. თანხის გადახდა ხდება ისგ-ის დაგეგმვამდე ან ისგ-ით განსაზღვრულ ვადაში (თარიღამდე), კოლეჯის საბანკო ანგარიშზე. ქვითარი ერთვის სტუდენტის პირად საქმეს.

მუხლი 6. სტუდენტის მომართვა და ისგ-ის შედგენა

1. სტუდენტი მიმართავს კოლეჯს წერილობითი განცხადებით (დანართი №1), სადაც მიუთითებს მოდულს, აღსადგენ საათებსა და, ასეთის არსებობისას, საპატიო მიზეზსა და დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს.
2. უფლებამოსილი პირი ამოწმებს გაცდენების აღრიცხვას, ადგენს საპატიო/არასაპატიო საათების მოცულობას და ამზადებს ისგ-ს (დანართი №2).
3. ისგ მოიცავს: სტუდენტის მონაცემებს, მოდულს/კომპონენტებს, აღსადგენ საათებს 10(საპატიო 3%/არასაპატიო 30%-ის გაყოფით), ფორმატსა და განრიგს, სწავლის შედეგებს, საფასურს (ასეთის არსებობისას) და ვადას.
4. ისგ მტკიცდება დირექტორის (ან უფლებამოსილი პირის) ბრძანებით და ხელს აწერს სტუდენტი; ინახება პირად საქმეში.
5. საპატიო გაცდენისას ისგ მტკიცდება დაუყოვნებლივ; არასაპატიო გაცდენისას — საფასურის გადახდის/გადახდის ვალდებულების დაფიქსირების შემდეგ.
6. 30%-მდე არასაპატიო და 3%-მდე საპატიო გაცდენის აღდგენა ხდება უსასყიდლოდ.

7. 30%-ზე ზემოთ ნებისმიერი რაოდენობის საათების გაცდენის აღდგენა ხდება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.
8. თუ სტუდენტის გაცდენების რაოდენობა აღემატება 30%-ს და კოლეჯს არააქვს ადამიანური რესურსი ფასიანი აღდგენის გამოყოფისთვის ან გაცდენის პროცენტული რაოდენობა იმდენად მაღალია, რომ შეუძლებელია აღდგენა მაშინ სტუდენტს ეთქმევა უარი.
9. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა შეიჩეროს სტატუსი და ისარგებლოს მომდევნო ჯგუფთან გაცდენილი საათების უფასო აღდგენით.

მუხლი 7. დამატებითი სასწავლო კომპონენტის დანიშვნა

1. მოდულის ძირითადი სასწავლო პერიოდის დასრულების მიუხედავად, სტუდენტს უფლება აქვს, წერილობითი მოთხოვნით ითხოვოს მისთვის ცალკე, დამატებითი სალექციო ან/და პრაქტიკული კომპონენტის ჩატარება იმ მოცულობით, რა მოცულობაც მას ესაჭიროება სწავლის შედეგების მისაღწევად.
2. დამატებითი კომპონენტი ფორმდება ისგ-ით და ტარდება მე-5 მუხლის ფინანსური პირობებით (30%-ზე მეტი გაცდენა არასაპატიო/სტუდენტის ინიციატივით — ფიქსირებული ტარიფით; საპატიო და 30%-ზე ნაკლები გაცდენა — უსასყიდლოდ).
3. დამატებითი კომპონენტის მოცულობა და განრიგი, ობიექტი და მასწავლებელი განისაზღვრება კოლეჯის რესურსების გათვალისწინებით (შესაძლებლობა ან შეუძლებლობა), რაზეც სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია.
4. დამატებითი კომპონენტი არ ცვლის მოდულით დადგენილ შეფასების კრიტერიუმებსა და სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტს.

მუხლი 8. პასუხისმგებელი პირები

პირი / რგოლი	პასუხისმგებლობა
დირექტორი	ისგ-ისა და ტარიფის დამტკიცება ბრძანებით; წესის ზედამხედველობა.
პროგრამის ხელმძღვანელი / სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი	გაცდენების ვერიფიკაცია, საპატიო/არასაპატიო კვალიფიკაცია, ისგ-ის მომზადება, განრიგის ორგანიზება.
პროფესიული განათლების მასწავლებელი	დამატებითი/აღსადგენი საათების ჩატარება და სწავლის შედეგების შეფასება.
ფინანსური სამსახური	საფასურის გამოანგარიშება, ქვითარი, გადახდის აღრიცხვა.
სასწავლო პროცესის სპეციალისტი საქმისმწარმოებელი / არქივი	განცხადების, ბრძანების, ისგ-ისა და გადახდის დოკუმენტების პირად საქმეში დაცვა.
პროფესიული სტუდენტი	ვალდებულია აწარმოოს თავისი დასწრების მონიტორინგი

მუხლი 9. კონტროლი და მონიტორინგი

1. კოლეჯი აწარმოებს გაცდენების, აღდგენებისა და ისგ-ების ერთიან აღრიცხვას (რეესტრს).

2. საფასურის გამოყენების კანონიერებას პერიოდულად ამოწმებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მზადდება მოკლე ანგარიში აღდგენებისა და გამოყენებული საფასურის შესახებ, ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის.

მუხლი 10. შეზღუდვები და დარღვევებზე რეაგირება

1. აკრძალულია საფასურის დაკისრება: (ა) საპატიო გაცდენაზე; (ბ) გამოცდის გადაბარებაზე, როდესაც სტუდენტი დაესწრო, მაგრამ ვერ ჩააბარა; (გ) ვაუჩერული დაფინანსების თანხის ან ჯარიმის/საურავის სახით.
2. საფასური არ შეიძლება იყოს არაპროპორციული ან თვითნებური; იგი მკაცრად უკავშირდება ფაქტობრივად აღსადგენი არასაპატიო საათების მოცულობას.
3. ამ წესის დარღვევით თანხის მოთხოვნა იწვევს თანხის სტუდენტისთვის დაბრუნებას და პასუხისმგებელი პირის მიმართ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას.

მუხლი 11. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. წესი ამოქმედდეს დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის №240909 ბრძანებით დამტკიცებისთანავე.
2. წესში ცვლილებები შედის დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობასთან შესაბამისობით.
3. საათობრივი ანაზღაურება ეკისრება მხოლოდ ვაუჩერული წესით დაფინანსებული 30%-ზე მეტი გაცდენილი საათების ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დამტკიცებული საათების აღდგენას.

დანართი №1 — სტუდენტის განცხადების ფორმა

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორს
ბ-ნ _____

პროფესიული სტუდენტის _____ (სახელი, გვარი)

პროგრამა/მოდული: _____ პ/ნ: _____ ჯგუფი N: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მომცეთ შესაძლებლობა აღვადგინო გაცდენილი სასწავლო/პრაქტიკული საათები _____ მოდულში და, საჭიროების შემთხვევაში, დამინიშნოთ დამატებითი სალექციო/პრაქტიკული კომპონენტი ისგ-ის საფუძველზე.

აღსადგენი საათების რაოდენობა	_____ საათი
ჩათვლის საათების რაოდენობა	_____ საათი
გაცდენის მიზეზი	თან ერთვის დოკ.

თარიღი: ____ /____ /20__ ხელმოწერა: _____

დანართი №2 — ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა

სტუდენტი (სახელი, გვარი, პ/ნ)	
პროგრამა / მოდული	
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ვაუჩერი / თვითდაფინანსება
აღსადგენი საათები — საპატიო (უსასყიდლო)	_____ საათი
აღსადგენი საათები 30% მდე გაცდენილი — არასაპატიო (უსასყიდლო)	_____ საათი
აღსადგენი საათები 30%-ზე მეტი — არასაპატიო (ფასიანი)	_____ საათი
ფიქსირებული ტარიფი (1 საათი)	_____ ლარი
გადასახდელი თანხა (არასაპატიო × ტარიფი)	_____ ლარი
ფორმატი / კომპონენტი	სალექციო / პრაქტიკული
განრიგი / ვადა	_____
პასუხისმგებელი მასწავლებელი	_____

დამტკიცებულია დირექტორის 20__ წ. „___” _____ №____ ბრძანებით

დირექტორი: კობა მახათაძე სტუდენტი: _____